

# დასკვნა

1. ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ვიდეოგრამა მონტაჟის წესით არის მიღებული. აქედან გამომდინარე, ვიდეოგრამა ორიგინალ ჩანაწერს წარმოადგენს თუ ასლს ექსპერტების მიერ პასუხის გაცემა შეუძლებელია.
2. წარმოდგენილი ვიდეო მასალა ვარგისია საექსპერტო კვლევების ჩასატარებლად.
- 3 – 5. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ვიდეო ჩანაწერი ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს მონტაჟს, ხოლო მონტაჟის შემცველი ეპიზოდების დეტალური აღწერა წარმოდგენილია კვლევით ნაწილში.
4. წარმოდგენილი ვიდეოგრამა იწყება, მიმდინარეობს და მთავრდება ალოგიკურად.
6. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ვიდეოგრამა გაშიფრულია ტექსტობრივად და წარმოდგენილია ცალკე დანართის სახით.
7. - წარმოდგენილ ვიდეომასალაში არსებულ აუდიო ნაწილში ჩანაწერის დასაწყისიდან იმ მომენტამდე, სადაც პირველად ფიქსირდება ბარაზნიანი პისტოლეტი და ა/მანქანაში სავარძლის ქვეშ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი წარმოადგენს მონტაჟს (იხ. კვლევით ნაწილში).  
- ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ ვიდეოგრამაში ჩანაწერის დასაწყისიდან იმ მომენტამდე, სადაც პირველად ფიქსირდება ბარაზნიანი პისტოლეტი და ა/მანქანაში სავარძლის ქვეშ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ვიზუალური გამოკვლევებისას რიგ ადგილებში ფიქსირდება ვიდეოგრამის მცირეხნიანი შეყოვნებები, ხარვეზები (იხ. კვლევით ნაწილში), რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ჩანაწერში ხელოვნური ჩარევის (მონტაჟი) შედეგად.
8. წარმოდგენილი ვიდეოგრამა ჩაწერილია .AVI ფორმატში, ხოლო ვიდეოგრამის დეტალური გამოკვლევით მასში ფიქსირდება: ჩანაწერის სახელწოდება, ჩანაწერის ფორმატი, ჩანაწერის მოცულობა, თუ როდის არის ჩაწერილი ჩანაწერი, ბოლოს აღწარმოების თარიღი, რამდენი კადრია ჩაწერილი წამში და ა.შ. (იხ. ფოტო 62 და ფოტო 63 კვლევით ნაწილში.)
9. გამოსაკვლევად წარმოდგენილი ვიდეოგრამის ხანგრძლივობა არის 00სთ:10წთ:02წმ:00 მილიწამი.
10. წარმოდგენილ ვიდეოგრამაში საუბრობენ ქართულ ენაზე, ხოლო ემოციური ფონის მოკლე მონახაზი იხილეთ ლინგვისტურ ნაწილში.
11. ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ ვიდეოგრამაში ვიზუალური გამოკვლევებისას რიგ ადგილებში ფიქსირდება ვიდეოგრამის მცირეხნიანი შეყოვნებები, ხარვეზები, კადრის, გამოსახულების უცაბედი გაუმართლებელი ცვლილებები და ა.შ რაც მიანიშნებს იმას, რომ ვიდეოჩანაწერი ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს მონტაჟს, ხოლო მონტაჟის შემცველი ეპიზოდების (კადრები) დეტალური აღწერა წარმოდგენილია კვლევით ნაწილში.
12. ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერი წარმოადგენს მონტაჟს. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ვიდეოგრამა არის დედანი თუ წარმოადგენს ასლს პასუხის გაცემა შეუძლებელია.
13. ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ვიდეოგრამიდან ამოღებული იქნა ვიდეოგრამაში დაფიქსირებული პიროვნებების ფოტოსურათები, რომლებიც დამუშავდა გრაფიკულ რედაქტორ Adobe Photoshop-ში, ამოიბეჭდა ფერად

140



პრინტერზე და წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი ფოტოცხრილი N1).

14. ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ ვიდეოგრამაში დაფიქსირებულ პიროვნებებზე არსებული ე.წ. „მაჯის საათები“-ს ამსახველი ფოტოსურათები, ჩანაწერის დროის მითითებით, ამოღებული იქნა და დამუშავდა გრაფიკულ რედაქტორ Adobe Photoshop-ში, რომლებიც ამოიბეჭდა ფერად პრინტერზე და წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი ფოტოცხრილი N2).

15. ვიდეოგრამაში დაფიქსირებული ერთ-ერთი პიროვნების ე.წ. „მაჯის საათზე“ ფიქსირდება სავარაუდოდ 02:17სთ–დან 02:25სთ–მდე დროის მონაკვეთი. არსებული ფოტოსურათები წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი ფოტოცხრილი N3), სხვა დანარჩენ პიროვნებებზე დაფიქსირებული ე.წ. „მაჯის საათი“-დან დროის ამოკითხვა გამოსახულების ბუნდოვანების, სიბნელის, კადრის სწრაფი მოძრაობის, არასტანდარტული განათების (ზედმეტი განათება, რაც იწვევს საგნის ზედაპირიდან არეკვლას) გამო, ვერ მოხერხდა.

16. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ვიდეოგრამის მიმდინარეობას ემთხვევა თუ არა ე.წ. „მაჯის საათებზე“ გამოსახული დროის ქრონოლოგია, პასუხის გაცემა შეუძლებელია ვინაიდან, აღნიშნულ საათებზე დროის ზუსტი ამოკითხვა ვერ მოხერხდა გამოსახულების ბუნდოვანების, სიბნელის, კადრის სწრაფი მოძრაობის, არასტანდარტული განათების გამო (ზედმეტი განათება, რაც იწვევს საგნის ზედაპირიდან არეკვლას).

17. ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ვიდეოგრამა დამუშავდა PowerDirector-ის საშუალებით, რითაც გაიზარდა ფერთა გამა. დამუშავებული ვიდეოგრამა ცალკე გადატანილ იქნა DVD დისკზე და წარმოდგენილია დანართის სახით.

მთავარი ექსპერტი:

ე. კუნელაშვილი

მთავარი ექსპერტი:

ა. ჩაგუნაევა

მთავარი ექსპერტი:

გ. გიორგაძე